**რედაქცია**

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლში.

**ხელის მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „*Дроэба*".

**გაზეთის ფასი**

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით. ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სია

### თფილისის თავად-აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის გირაოს ფურცლებისა,

რომელიც ამ 1875 წლის 1 გიორგობისთვეს პირველს ტირაჟში გამოვიდა, სულ 2100 მანეთისა.

პირველი სერიისა

სოფლის მამულისა $54\frac{1}{2}$ წლისა

100 მანეთის: { 4, 10

ქალაქის მამულისა, 18 წლისა და 7 თვისა

100 მანეთი: }
1000 მან. — 20. } 5, 10 და 119

მეორე სერიისა

ქალაქისა მამულის $27\frac{1}{2}$ წლისა

100 მანეთისა — 3

500 მანეთისა — 10

სარგებელი ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლებისა 1876 წლის 1 იანვრამდი არ მოისპობა; ამ დღიდამ ბანკი დაიწყებს ხსენებულს ფურცლებში ფულების მიცემას. იმ პირთ, რომელნიც ამ ვადაზედ ადრე მოისურვებენ ხვედრი ფულების მიღებას, შეუძლიანთ მიიღონ თფილისში — საადგილ-მამულო ბანკიდამ ანუ პეტერბურღში რუსის ბანკიდამ გარეშე ვაჭრობისთვის, 6% სარგებლის გამორიცხვით.

გამოსასყიდ გირაოს ფურცლებს უნდა ჰქონდეს ყველა კუპონები 1876 წლის 1 იანვრიდამ; და თუ ამ კუპონებში ზოგიერთი დაკლებულია, მაშინ იმის ფასს ბანკი გირაოს ფურცლის ფასში გამოვა.

## საქართველო

### წიგნის მაღაზიების გავრცელება

—

სადაც კი შკოლებია ჩვენში, ყველგან უწიგნობას უჩივიან. ვერც შაგირდებს და ვერც მასწავლებლებს სოფელში წიგნი ვერ უშოვნიათ და ამის გამო ხშირად ორ-შაურიანი წიგნისათვის ან თვითონ უნდა წავიდნენ ქალაქში, ან კაცი უნდა გაგზავნონ და ამნაირად ამ მცირე ფასიანი წიგნის შესაძენად უკანასკნელი მანეთი უნდა დახარჯონ.

უმისოთაც ქართულს ენაზედ შკოლებისათვის ბევრი სახელმძღვანელო წიგნები არა გვაქვს და რაც გვაქვს, სოფლებში ვერც ის უშოვნიათ; ვერ უშოვნიათ აგრეთვე ვერც რუსული სახელმძღვანელოები.

უჭველია, ეს დიდი დაბრკოლებაა ერთის მხრით სასოფლო შკოლებისათვის და მეორეს მხრით თვით წიგნის ბეჭდვისათვის, რომელნიც ორნივე ახლა იბადებიან, ახლა იწყებიან ჩვენში.

ამ საქმეში, ჩვენის აზრით, დიდი შეწევნისა და დახმარების მიტანა შეუძლიანთ იმ უწყებათა და პირთ, რომელთაც მზედველობაში ჩვენებური შკოლა იმყოფება.

თითქმის შეუძლებელი საქმეა, რომ ყველა სოფლებში, სადაც კი შკოლა არის გამართული, ყველგან სასოფლო წიგნის მაღაზია გაიხსნას. ამ თანვე ისიც ძალიან კარგი და სასარგებლო იქნება, რომ ყოველს საუეზდო ქალაქში და თუ შეიძლება დიდ სოფელში სასწავლებელთან პატარ-პატარა წიგნის მაღაზია იყოს გამართული. ამ მაღაზიებში იქნება ყველა სახელმძღვანელო წიგნები, რომელიც შკოლებისათვის საჭიროა და ამას გარდა ქართული სახალხო წიგნებიც. და აქედამ სასოფლო შკოლების შაგირდებსა და მასწავლებლებს და აგრეთვე თვით ხალხსაც, რასაკვირველია, უფრო გაუადვილდებოდა საჭირო წიგნების წაღება, ვიდრემ თფილისიდამ ან ქუთაისიდამ.

ადვილად მოსახერხებელია ეს საქმე: იმ უწყებათა და პირთ, რომელთაც შკოლების ზედამხედველობა აბარია, შეუძლიათ ერთი რომელიმე საიმედო მასწავლებელი ამოირჩიონ უეზდის ან სოფლის შკოლაში და ყველა გასასაღებელი წიგნები იმას მიაბარონ. და თუ ამისთანა პირები იქნებიან, მაშინ ჩვენც — ქართული წიგნების დამბეჭდვნიც აგრეთვე იმათთან დავიჭერთ საქმეს. ყოველ ქართულ სახელმძღვანელოს ან ისე საკითხავ წიგნს იმათ ჩავაბარებთ კომისიით და დროგამოშვებით ანგარიშს მოვთხოვთ.

თუ ამისთანავე ის პირნი, რომელთაც ამგვარი პატარა წიგნის მაღაზია ექნება ჩაბარებული, თავის შრომის ფასს მიიღებს, მაგალითად მანეთის წიგნის გასაღებაში ორ შაურს,

## ფელეტონი

### იმერლები

#### რომანი თანამედროვე ცხოვრებიდამ

—

თავი მეშვიდე *)

VII

ერთად-ერთი ლერი ამთელი ძლივს ბინდად ანათებდა იმ დიდს ოთახს, სადაც კუთხიდამ კუთხემდი მიდი-მოდიოდა ცოტათი ღელვებული არაფერა. უეცრად კარები გაიღო და ღრეჭით შემოვიდა მოხუცებული მსახური.

— ბატონი გიახლოთ, მოახსენა ღრეჭით მსახურმა.

— ვინ? ჰკითხა გაკვირვებულმა არაფერამ.

— ის.

— ვინ ის?

— თქვენ რომ იცით, ბატონო.

— რას იღრიჭები, მთვრალი ხომ არა ხარ? სთქვი, ვინა?

— თქვენს ნახვას კითხულობს!

— ქრისტეს გულის მადლს, ან მითხარი, ვინაა, ან მომშორდი!

— ქალი გახლავსთ, ქალი, თქვენი მოწონებული, — წაუჩურჩულა მსახურმა.

— ქალი?! რა დროს ქალია ამ დროს და ან ვინ არის?

— რა მოგახსენო, პირი მობურნული აქვს; მაგრამ ძალიან გულ-დაგულ კი გკითხულობს.

— ჰმ.... მაშ კარგი.... ვინც უნდა იყოს, სთხოვე შემობრძანდეს და სხვა აღარა ვინ მიიღო.

— რას მიბრძანებ ბატონო, განა მაგდენი არ მესმის!

მსახური ღრეჭითვე გავიდა. არაფერამ ადგილიდამ ფეხი ვერ მოიცვალა, გაშეშებული დარჩა და თვალი ვერ მოაშორა კარებს. ცოტა ხნის შემდეგ გაიღო კარები და აშფოთებული შემოვარდა ერთი ახალგაზდა ქალი, მოიხსნა საბურავი და არ იცოდა რა ექნა: დაეკრა თავი არაფერასათვის, თუ არა. არაფერა მის დანახვაზე შეკრთა და ფერმა გადაჰკრა.

— ჩემმა მოულოდნელმა და უდროვოთ მოსვლამ ეგრე როგორ შეგაშინათ? უთხრა სახე გაჭარხლებულმა ყმაწვილმა ქალმა.

— ხშირად შიშსა და გაკვირვებას ერთი და იგივე შედეგი აქვსთ! მართალია, შევკრთი; მაგრამ ეს წამითი გრძნობა იყო და ახლა კი ნება მომეცით, რომ გულ დამშვიდებულად და სიამოვნებით, როგორც შეჰფერის რიგიანს მასპინძელს, გისტუმროთ... ქოხში ჩაბრძანება.

ქალმა გაიღიმა, დააპირა კრესლოში ჩაჯდომა; მაგრამ ჯერ კი რაღაც კეკლუცურად ჰკითხა:

— სანდო არის თქვენი კრესლო? საზოგადო ხომ არაფერი აქვს თქვენ გულთან?... უთუოდ ღალატი ეცოდინება!

— შესაძლებელი იქნებოდა, რომ მამიჩემის გაკეთებული იყოს, მაგრამ... მაგრამ.... ჰე, დავანებოთ თავი ამგვარ ლაპარაკს, გატყობთ, რომ რამე მძიმე მიზეზს მოუყვანიხართ ჩემთან, თორემ არ მობრძანდებოდით ასე გვიან, როდესაც თითქმის ძილის დრო არის.

— თქვენი გულისთვისაც?

— მაგის კი რა მოგახსენო... ბევრს რამეში დიდი ხანია მართლა ჰსძ ნავს ჩემს გულს, — უფრო ხშირად ძილს იგონებს, მაგრამ საჭიროების დროს კი ყოველთვის ფხიზელია; მაგრამ კიდევ მოგახსენებთ, მაგრამ. . .

— უგულოვ, მე მძულხარ შენ.

— ასე შორს და ასე გვიან რას მობრძანდებოდით მაგის სათქმელად! ნუ თუ ღამე მისთვის ამოგირჩევიათ? დღე სინათლის შეგრცხვათ, ან ეგება გეგონოსთ, რომ დღეს უფრო მახვილი ყურები ჰქონდეს? შემცდარი ხართ, უფრო მახვილი კი არა და უფრო დიდი ყურები კი აქვს დღეს ღამეზედ, რადგანაც უფრო მეტს ყვირობას ჩადის და მაგიერში ღამეს კი უფრო დიდი კუდი აქვს დღეზედ.

— ღვთის გულისათვის, ახლა მაინც დაანებე აგდებით ლაპარაკს თავი.... მომექეცი ადამიანურად, რა დროს ხუმრობაა? განა ვერა გრძნობ, თუ მძიმე მიზეზი არ ეყო გამსჭვალული, მე დღეს აქ არ მოვიდოდი? შეჰყვირა აშფოთებით ქალმა. არაფერამ მოიშუშა სახე და თითქმის ჩურჩულით უთხრა: ბრძანეთ!

— მე მძულხარ შენ, გესმის?

— ქეთილი და პატიოსანი.

— მძულხარ ისე, რომ ჯერ ქვეყანაზედ კაცი არ შემძულებია.

— კიდევ უკეთესი.

— შენ ამას არაფრათ აფასებ? განა სულ ერთია შენთვის?!

— რა მოგახსენო, ჯერ არ შევღივარ სავაჭროთ. . . . მაგრამ ეს ხომ წელანაც ბრძანეთ, რაღათ იმეორებდით.

— სიტყვას მაწყვეტინებ, უთხრა აღშფოთებული სულთქმით ქალმა... ყელში სული ეხჩობოდა.

— მაშ ბრძანეთ და ყურს გიგდებთ.

— მძულხართ, მაგრამ. . . .

— მაგრამ?

— მინდა, რომ მიყვარდე და არ მძულდე; ღვთის გულისათვის, ნუ იღიმები მაგრე გულ საკლავად; ამიხსენი, რა არის ამისი მიზეზი, ან რათ მძულხარ და რათ მინდა, რომ არა მძულდე?!

— მაგის პასუხი რომ გითხრა, უნდა მაშინ გული გაგიხსნა და ხუმრობის კილო დავკარგო, ვუღალატო ჩემს ჩვეულებას.

— განა წაგებაში იქნები, რომ უღალატო? მე ვიცი, რომ შენთვის სულ ერთია ჩემი გრძნობები, მაგრამ ჩემთვის, საკუთრად ჩემთვის გეხვეწები დამამშვიდე, დამიცხრე გულის ვნება და ამიხსენი: ან რათ მძულხარ და ან რათ მინდა, რომ არა მძულდე? ამ სიტყვით ცრემლები მოერია ლამაზ ქალს. არაფერამ თანაგრძნობით შეხედა და უთხრა:

— პირადი მიზეზი მოვიცა მე თქვენთვის სიძულვილისა?

— არა, აქ პირადობა არ არის; ვიცი, რომ ცუდი კაცი ხარ.

— საბუთი?

— მე არაფერი მაქვს, მაგრამ ხმა ერისა .. მთქმელი ბევრია, ოცი, ორმოცი.

— ხასიათი მაგ თქმის?

— ასე ამბობენო.

— მნახველი?

— ვერსად შევხვდი.

— მაშ კარგი, როცა მნახველი გამოჩნდება, მაშინ მოგცემ პასუხს.

*) ამ წლის „დროება," № 23.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მაშინ უფრო გულს მოდგინეთ მოჰკიდებენ ამ საქმეს ხელსა და უკეთაც გაასაღებენ.

ვინც კი წიგნებს ბეჭდავს ვისაც კი რაიმე დ მოკიდებულობა აქვს საზოგადოთ მწიგნობრობასთან, ყველანი გრძნობენ, ყველანი ჰხედავენ, რომ უმთავრესი დაბრკოლება ჩვენში წიგნების ბეჭდვისა და ხალხის გონების წინ-წაწევისა ამ ჟამად ეს გარემოება არის,—რომ წიგნები ვერ გაგვივრცელებია, ვერ მიგვიწვდენია იმისთვის, ვისაც კითხვა სწყურიან

იმ საშუალების გარდა, რომელზედაც ზევით ორიოდე სიტყვა ვსთქვით, რასაკვირველია, სხვაც ბევრია; (ერთ იმათგანზე — სოფელ-სოფელ მოსიარულე წიგნების გამყიდველ ბიჭებზე —ჩვენ ამას წინათ ვილაპარაკეთ); და ჩვენი ვალია, რომ ყველა ეს საშუალება ვსცადოთ, ყველას მივმართოთ, რომ ამ მხრით უპირველესი მოთხოვნილება ჩვენი ხალხის გონებისა ცოტათი მაინც დავაკმაყოფილოთ.

ს. მესხი

## დღიური

მას აქეთ, რაც ჩვენს გაზეთში გამოცხადებული იყო, რომ რუსთველის ფოტოგრაფიული სურათი დაიბეჭდაო, რამდენიმე სხვა და სხვა ალაგიდამ მოგვივიდა ჩვენ თხოვნა, რომ ეს სურათი გამოგვიგზავნეთო. ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ ამ გვარ მონდობილებას ჩვენ ვერ ვიკისრებთ. მსურველს შეუძლია პირ-და-პირ როინოვის ფოტოგრაფიაში გამოგზავნოს თავის მოთხოვნილება და თან ერთი აბაზი და მიიღებს.

* * *

ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად თეატრის თაობაზე. მთავრობა აჩქარებს თურმე ქალაქის გამგეობას, რომ მალე გადასწყვიტოს ეს საქმე; ქალაქის გამგეობა თამამშევებს მისდგომია, რადგან თეატრის საქმის გათავება ამ ჟამად თითქმის ამათზედაა დამოკიდებული. ამბობენ, თამამშოვები ასი ათასს მანეთს აძლევენ ქალაქს, ოღონდ იმან ქარვასლაში თეატრის გამართვაზე ხელი აიღოს; ამბობენ, ამაზე მეტსაც მისცემენო. როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის გამგეობამ თამამშოვებზე საჩივრის დაწყება გადაწყვიტა და ამის მიზეზი, „თფილისის მოამბის" სიტყვით, მხოლოთ ის იყო, რომ გამგეობას ჰსურს მეტი გადაახდევინოს იმათა.

* * *

ახალი ამბავი თეატრის თაობაზედვე: „კავკაზის" უკანასკნელ ნომერში გამოცხადებულია, რომ ზოგიერთ პირებს ქალაქში კერძო თეატრის აშენებაზედ ჰქონიათ მოლაპარაკებაო. არ ვიცით: ვინ არიან ეს პირები და ან როგორი კერძო თეატრის გამართვაზედ ჰქონდათ იმათ მოლაპარაკება.

* * *

ჩვენ მოგვივიდა ზემო-იმერეთიდამ შემდეგი წიგნი, რომლის შინაარსი, თუ არ დაგვიფიქრებთ, გაგიცინებთ მაინც არი:

„ღმერთმა შენს მტერს გააგონოს! ცხენისა და პირუტყვის დაკარგვას ვწუხდით აქამდინ და იმან შენი ჭირი წაიღოს: ახლა სახლები იკარგება!

„ერთს თავადიშვილს დავა ჰქონდა გლეხკაცთან მიწაზე. სამსჯავროში მოიგო თავადმა მიწა და დადგა ზედ სახლი.

წამოვიდა გლეხი და ერთს ადვოკატს კითხა: „იმ მიწის ამოგებას არა მოუხერხდება რამეო? როგორმე ვერ შემოუვლის კაცი თავსო?" ადვოკატმა ასწავლა: „თუ შეგიძლია, ის სახლი მოიპარე როგორმე და მერე მე ვიციო." გლეხმა ერთს უმთვარო ბნელ ღამეში შეჰყარა რამდენიმე კაცი, დააქცია ჩუმათ ეს სახლი და ერთს დაფარულს ალაგას გადიტანეს და დამალეს. დილაზე სახლი აღარ არის! მოახსენეს პატრონს: სახლი კუდიანებს წაუღიათ, ბრუზაბძელაზე აუტანიათ თავის როპაპისთვისო, რადგანაც წელს ადრე სიცივეები დაიწყოო. თავადმა იჩივლა და ერთი გამოძიება ერთი ძებნა, ვაი-უშველებელი შედგა. მაგრამ ჯერეთ კიდევ ერთი ფიცარიც ვერ იპოვნეს. ცამ ჩაყლაპა თუ დედა-მიწამ ეს ვებების ტოლა ცხრა ცულის ტარი (სიგრძით) სახლი — კაცმა ვერა გაიგო რა."

* * *

თფილისის მუზიკალურ საზოგადოების ზალაში სომხური სცენის მოყვარეთა ამას წინათ წარმოდგენა ჰქონდათ, რომლის შემოსავალი მცირე აზიის დამშეული სომხების სასარგებლოდ იყო დანიშნული. მაგრამ საუბედუროთ, როგორც ამბობენ, ძალიან მცირე შემოსავალი ყოფილა.

* * *

„თფილისის მოამბეში" იწერებიან, რომ ქუთაისში საურთიერთო კრედიტის ამხანაგობის (ბანკის) გამართვა განუზრახავთ.

ამავე გაზეთს გაუგონია, რომ ზოგიერთ ქუთათურ მცხოვრებლებს საზოგადო ქალაქის ბანკის გამართვა ჰსურთო.

მესამე ბანკიც იქაური თავად-აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკი იქნება.

როგორც ჰხედავთ, ქუთაისშიაც ბანკი მოდით შემოდის.

## „დროების" კორრესპონდენცია

შორაპანი, 15 ოქტომბერს

რაჭიდამ და გურიიდამ ხშირად იწერებიან თავიანთი შკოლების და მათი მაზრის უფროსების ქებას. მგონებ, არ იქნეს წინააღმდეგი, რომ მეც მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა შესახებ შორაპნის მაზრის უფროსისა და მისი თაოსნობით და შთაგონებით დადგენილის სასოფლო შკოლებისა.

წარსულს 1873 და 1874 წელს შორაპნის მაზრის უფროსი უ. ეფიმოვსკი დადიოდა სოფლის-სოფლამდის, აგროვებდა ყოველს საზოგადოებაში ყრილობას და უცხადებდა მათ: სწავლა სასარგებლო არის, თქვენ ვალდებული ხართ თქვენ შვილებს წერა-კითხვა ასწავლოთ და სასოფლო შკოლები დაადგინოთ თქვენის ხარჯითო; როდესაც შკოლები მზათ იქნება მასწავლებლებსაც წარმოგვიდგენს მთავრობა. არცერთ საზოგადოებაში არ მიუღია, რომ ყველგან

---

— ვადა?

— რამდენიც გენებოსთ და მანამდი კი მშვიდობით.

— აგრე იყოს, მაგრამ ერთი თხოვნა შემისრულე.

— ბრძანეთ, თუ კი შესაძლებელია.

— ხვალევე გადით ამ ქალაქიდამ, ერთისა ან ორის კვირის ვადით.

— ეგ არ შემიძლიან, საქმე ნებას არ მომცემს.

— მაშ სალამ-სალამოობით ამ დღეებში ოთახიდამ ნუ გამოხვალ.

— დიდის სიამოვნებით, თუ თქვენისთანა სტუმარი მეყოლება ყოველთვის.

— კიდევ სასაცინლოდ აგდება! არა, მე გთხოვ შენის სიკეთისათვის, რომ ამ დღეებში ნურსად წახვალ, ვინც უნდა დაგპატიჟოს, უარი შეუთვალე.

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ გუშინ არ ჩამომართვი ეს სიტყვა.

— გუშინ რა იქნებოდა?

— ერთს საჩუქარს დავკარგავდი..

— რას?

არაფერი წამოდგა, აუწია ბალიშს თავი, გამოიღო იქიდამ ექვს ლულიანი რევოლვერი, დაუდვა წინ სტოლზე და უთხრა:—აი რასა. ქალმა გაოცებით შეხედა და ჰკითხა კანკალით.

— ვუიმე, რას ნიშნავს ესა?

— იმას, რომ თქვენი ეგ პლატონური გაფრთხილება დაგვიანებული შეიქნა. დღეს მე ვიყავი მიწვეული ერთის ჩემის ვითომ მეგობრისაგან; იქიდამ ადრე დავბრუნდი, საშინელი ბნელი ღამე იყო და აბანოების აქეთ რიონის პირათ ერთი ვიღაც გადამეღობა წინ, მაგრამ... თქვენ რასა სწუხართ... ეგება ცივი წყალი გნებავდეთ? ქალმა ენა ჩაუარდნილმა თავი გაიქნია და თვალებით ეხვეწებოდა, გააგრძეო. არაფერი მოჰყვა ისევ.

— დიახ, გადამიღობა გზა და მომიშვირა ეს საჩუქარი. რომელზედაც მე ხელი მოვავლე. შევექნა ბრძოლა, რევოლვერი მე შემრჩა ხელში, იმას მგონი ფეხი აუსხლტა, იკადრა გაგორება, მაშინ მივბრუნდი და ვარტყი.... ქალი უეცრად წამოვარდა და შეჰკივლა: რევოლვერი?

— არა,—წიხლი, უთხრა დაცინვით არაფერმა.

— მერე?

— მერე, შემდეგი იმას ჰკითხეთ! ამ სიტყვების შემდეგ ქალი ჩაჯდა ისევ კრესლოში, თავბრუ დაესხა, ენა ჩაუვარდა, და ფერმიხდილს გულმკერდი საოცრად უღელავდა; ბოლოს ამოიკნავა:—საშიში კაცი ხარ.

— ისე, როგორც პატარა ჭიისათვის დიდი ჭია.

— იცანი, ვინ იყო ის კაცი?

— ვერა.

— არც ეჭვი გაქვს ვისმეზე?

— ეგ მე ვიცი.

— ვინ გითხრა?

— თქვენგან ხომ არა შემიტყვია რა და რა გაწუხებსთ!

— მაშ, მე რომ გითხრათ?

— საჭირო არ არის, ისეც ვიცი.

— ავაზაკი იყო?

— ერთი კიდე დანაშთენი თქვენსავით შემცდარი.

— მაშ არ გცოდნიათ, იქ ავაზაკი არ რევეულა.

— კაცის მკვლელი...

— რა ვუყოთ, ხანდისხან მიზანი.... პრინციპი.

— ფარისევლობა, თვალთ-მაქცობა, ცხვრის ტყავში მგლის გამოხვევა, თქვენისთანა დეზდემონა, იმისთანა იაგო და სხვ. და სხ.

ამ სიტყვების შემდეგ ქალი წამოდგა ზეზედ, დაიკრიფა გულზედ ხელი, ამაყად დაადგა თავზე არაფერს და უხმოთ დაჰყურებდა რამოდენიმე ხანს. ბოლოს წაილაპარაკა:

— ღმერთო ჩემო, ამას რას ეხედავ? გულ-მკერდი გიდუღს, სჩანს, გქონია გული, ფერი მიგხდია, რა არის მაგისი მიზეზი?

— შენ.

— მე? მიაკივლა რაღაც სიამოვნებით.

— დიახ, შენ,—მიუგო არაფერმა. ცოდვა არ არის, რომ ეგ ბუნებითი ძალა, რომელიც შენში ადრეც შემინიშნავს, უკულმართად მწიფდებოდეს; რამდენი შენისთანა იღუპება ჩვენში და მშველელი კი არსად არის. შენი გული ბუნებას გაუჩენია საარდნაროდ და ცხოვრებას კი ეკლანარად გადაუქცევია.... ჰე შენი ბრალი არ არის!! ჯერ-ჯერობით კიდევ ბევრი მსხვერპლი იქნება შენისთანა და თუ ორის უძლურებისაგან ერთის ამორჩევა აუცილებლად საჭირო იქნება, მაშინ შენის ბუნების ადამიანს ღმერთმა აღირსოს ადრეულ სიკვდილი, რომ პატიოსანი იმედებით სავსე გული ჩაიტანოს სამარეში. აი ახლაც გამიმეტე სასიკვდილოთ? რათა? განა არ ვიცი, რომ შენ ავაზაკი არა ხარ, და პრინციპით მოქმედობ, მაგრამ რითი იცი, რომ შემცდარი არა ხარ?

— მაგას დრო გამოაჩენს.

— რომ დაგვიანებული შეიქნე!?

— შენ შენი ენის ძალის იმედი გაქვს.

— თვინიერ საბუთისა ყოველიფერს უარსა ვყოფ; ჭეშმარიტება, მხოლოდ დაურღვეველი ჭეშმარიტება უნდა გვხელმძღვანელებდეს. შეყვარებულ ქალს ყოველი გრძნობა გულში მოუდის და ის ხდება უნებურად მონა მისი სატრფოსი. შენ არ უყვარხარ იმას, გატყუებს და მხოლოდ იარაღათ გხმარობს თავის ფარისეველურ საქმეებში. მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის, მე მხოლოდ ამას ვამბობ, რომ ის არის უზნეური კაცი.... არასფერს საქმეში იმას პრინციპი არა აქვს და, როგორც უკიდურესი გარყვნილი კაცი, თავის პირადოენებას პრინციპებში ჰხვევს. აი როგორც ახლა ჩემ შესახებ..

— სტყუით.

— თვითონ თქვენ სცდებით.

— რომ ვერ დამიმტკიცოთ?

— აი რევოლვერი.... და რომ დავამტკიცო?

— შენ იცნობ ღამის-გუშაგებს?

— სულ ყველას, ერთის მეგობარიც ვარ.

— მაშ მართალი ვყოფილვართ.

— თქვენ გარეგნობას უყურებთ, თუ შინაარსს? მოქმედებით აფასებთ კაცს, თუ ნამოქმედარით? რადგანაც დღეს უკანასკნელია ჩვენი ბაასი, მე მინდა, რომ დაუფარავათ გითხრათ ყოველიფერი.

აკაკი

(შემდეგი)

შკოლების დაწესების გადაწყვეტილება არ დაუდგინოსთ. შკოლების შესანახავად ნიშნავდნენ: ზოგან 300 მანეთს და ზოგან ნაკლებს; ცსრეთი მცხოვრებლების ხელის მოწერით და მამასახლისის დამოწმებით იქმნენ მაზრის უფროსის წარდგენებით დამტკიცებულნი უ. გუბერნიის უფროსის მიერ.

აწ ნელ-ნელა იწყეს სასოფლო შკოლების შენობა და სწავლის დაწყება საზოგადოებაში.

ამ ჟამად შორაპნის მაზრაში არის 18 სასოფლო შკოლა და ორი სამი სამრევლო. ზოგნი მათგანი გაიხსნა ორი-სამი წლის წინეთ, ზოგნი ამ მდგომარე წელში და ზოგნი კიდევ შენდება და იმედია, იქაც მალე დაიწყება სწავლა; ამ შკოლებში შაგირდებიც ბევრი შაიკრიბნენ, ჯერ-ჯერობით ხალისით დადიან და სწავლაც რიგიანად მიდის.

ამ ოქტომბრის თვის პირველ რიცხვში სახალხო შკოლების ინსპექტორი უ. ტროიე მოვიდა შორაპნის მაზრაში შკოლების რევიზიისათვის. რევიზიის დროს ყველა მასწავლებელს ჩამოართვა მოწმობა, მის მიერ მიცემული განწესების დროს, და თან წაიღო. ზოგიერთ შკოლაში საქმე რიგიანად ნახა წაყვანილი და რამოდენთამე მასწავლებელთა მადლობა უთხრა.

გაათავა თუ არა ყველგან რევიზია, გამოიარა დ. ყვირილას. აქ ქონდათ მოლაპარაკება ტროიეს, მაზრის უფროსს და ერთ ნასწავლ მღვდელთაგანს ნორმალური ორ კლასიანი შკოლის აშენების თაობაზე დ. ყვირილას. არჩევდნენ, სად უკეთესი ჰავა იქნებაო, რომ შკოლა აეგოს და კარგი ბალიც გაუკეთდეს. მაზრის უფროსმა უჩვენა ერთი ადგილი მახლობლად ძველი ფოჩტის სტანციისა. ადგილი სხვისია, მაგრამ, თუ იშოვეს როგორიმე საშუალებით, მეტად კარგი იქნება.

სასწავლებლის სახლი საზოგადოებამ უნდა ააშენოს თავის ხარჯით და შემდგომში ხაზინიდამ გამოვა ყოველ წლივ 1,300 მ. შკოლის შესანახავად. ჩვენი მაზრის უფროსის საშუალებით, ამ შკოლის ასაშენებლად თითქმის 4,000 მ. შეიკრიბა გლეხებიდამ დ. ყვირილის ახლომახლო საზოგადოებაში.

თუ ადგილი იშოვეს, იმედია, შკოლას მალე ააგებენ. ამ შკოლაში კეთილ-შობილებს არ ექნებათ მონაწილეობა; ვგონებ, კეთილ-შობილებიც აპირებენ დ. ყვირილაში აგონ შკოლა; მაგრამ ეს განზრახვა, მათის უთანხმოებისა და მიუყოლებლობისა გამო, მალე არ შეუსრულდებათ.

გ. გ—ნი

# რუსეთი

კალუგიდამ პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ ზოგიერთ-აქაურ მცხოვრებლებს განზრახვა აქვთო, რომ ისეთი სახლი გამართონ, სადაც მცირე წლოვან დამნაშავეებს მიიღებენ და წერა-კითხვასა და რომელსამე ხელობას ასწავლიანო. მკითხველმა იცის, რომ ამგვარი თავშესაფარი სახლები ამჟამად პეტერბურღში, მოსკოვში და ბევრ სხვა რუსეთის ქალაქებშია გამართული და, როგორც ამბობენ, დიდი სარგებლობა მოაქვს.

* * *

გასულ 31 ღვინობისთვეს, რამდენიმე პირის თაოსნობით, სარატოვში სალიტერატურო და მუზიკალური საღამო გაუმართავთ აჯანყებული გერცოგოვინელებისა და ბოსნიელების სასარგებლოდ, რომლიდამაც 904 მანეთი შემოსულა.

* * *

ორი წელიწადი იქნება, რაც პეტერბურღში დაარსდა განსაკუთრებული საზოგადოება იმისთვის, რომ დაეხმაროს იმ ღარიბ მოსწავლე-ქალებს, რომელნიც მედიკო-ხირურგის აკადემიაში ბებიობას სწავლობენ.

# უცხო ქვეყნები

გერცოგოვინა. 1 ნოემბერს რაგუზიდამ მიღებულმა დეპეშამ გვაცნობა, რომ ბაჩკოსთან ინსურგენტებსა და თათრის ჯარებს ფიცხელი შეტაკება ჰქონიათ. თათრის მხრით რვა ბატალიონი ყოფილა, რომელსაც ბაჩკოში სურსათი და სამხედრო იარაღები მიჰქონდათ. გზაზე აჯანყებულების ჯარები დახვედრია ამით და ბრძოლა გამართულა; ამათი მხრით მხოლოთ სამი ათასი კაცი ყოფილა, სოჩიცას თაოსნობით. ბრძოლა შვიდი საათის განმავალობაში არ შეწყნარებულა; ბოლოს მეორე სარდალი პეკო პავლოვიჩი მოშველებია აჯანყებულებსა და თათრები დაუმარცხებიათ. ამისთანა დიდი შეტაკება აჯანყებულებსა და ოსმალოს ჯარს შუა ჯერ არ ყოფილა. თფილისში მოსული დეპეშის სიტყვით, ამ ბრძოლაში ორივე მხრით ათას კაცამდი დახოცილა და მძიმეთ დაჭრილა.

ცეტინიედამ გამოგზავნილი დეპეშა მეორე ამბავს გვაცნობებს, რომელიც კიდევ უფრო ცხადათ გვიმტკიცებს აჯანყებულების თავგანწირულობას: სოფელს პლევალსკოსთან ორმოც და ორ განდგომილს ყოველ მხრით თათრის ჯარები შემორტყმია ასე, რომ ცოცხალი ვერ წავიდოდნენ. ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილ ამ ერთ მუჭა ხალხს გადაუწყვეტიათ, რომ ხმალ-და ხმალ ჩავებათ და მტრის რაზმში გავაპოთო. მართლაც ასე უქნიათ: ჯერ რაც თოფები ჰქონიათ დაუცლიათ, მერე ხმლები და სატევრები უშიშვლიათ და გაქანებულან. გაცხარებულ ბრძოლაში 17 იმათი კაცი მოუკლავთ, 11 დაუჭრიათ და დანარჩენი კი წასულან.

— გერცოგოვინიდამ იწერებიან, რომ ავსტრიის მმართებლობა აღარ აძლევს პურს იმ აჯანყებულების ოჯახებს, რომელნიც ამ სახელმწიფოში არიან გაქცეულნიო და ამის გამო 65.000 დედა-კაცი, მოხუცებული და ყვაწვილები ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაში არიან ამ ჟამათაო.

—

საფრანგეთი. თფილისში მიღებული დეპეშები გვაცნობებენ, რომ მარჯვენა მხრის დეპუტატებიც თითქმის თანახმა არიან ახლაო, რომ ახლანდელმა ნაციონალურმა კრებამ ამ ქრისტეშობის თვეში სამუდამოთ გააუქმოს თავის თავი და შემდეგ, მიღებულის კანონებით, ახალი კრებისთვისა და სენატისთვის არჩევანი დაინიშნოსო.

# ქრონიკა

54

## მიტრიდატი დიდი

მაგრამ პომპეი საქართველოს მაინც არ მოეშვა. ის წამოვიდა ალბანიის მეფესთან საომრად, ოცი დღე იომეს, ხან ესენი ჰძლევდნენ, ხან პომპეი და ომი არ თავდებოდა. ამ დროებში არტაგი ერთ მხრით პომპეის არწმუნებდა, რომ მეგობარი ვარო, მეორეს მხრით კი ამზადებდა დიდ ჯარებს იმისთვის შესაბმელად; მაგრამ ეს ეშმაკობა პომპეიმა შეიტყო, დაანება თავი ალბანიას და მოუბრუნდა საქართველოს. ეს მოჰხდა, როგორც ამბობენ რომაელები, 65 წელს. პომპეი მოადგა მტკვრის პირს, ორ მთას შუა მყოფს ერთს ციხეს— აკროპოლისს. მაშინ მეფე ხიდზე მტკვარს გამოვიდა და ხიდი ჩააქცია. იმან ჯერ ეს ციხე შეირიგა, მერმე ათი ათასი ნავტიკით მტკვარში გამოვიდა. მაგრამ აქ ხეობებში ხალხი ავიდა მაღალს ხეებზე და დააყარა ისრები და ქვები, როგორც რომ სეტყვა. ამის შემდეგ იმან უფრო დიდი დაბრკოლება ნახა: ყოველს ფეხის გადადგმაზე ქართველებისაგან დაბრკოლებას ხედავდა. არტალი პელორის მდინარეს გადაცვიდა და ხიდი ჩააქცია. ამისა გამო ის ძალა-უნებურად აქ უნდა დარჩემილიყო მთელს ზამთარს, უნდა გადაეჭრა და დაეწვა ტყეები, რადგან ხალხი იქიდგან დიდს ვნებას აძლევდა იმის ჯარებს. გაზაფხულზე პომპეი ამ წყალს რომ გავიდა, არტალმა შეიტყო, რომ წინანდელ გარემოებებს კავკასიის მეფეების კავშირობა დაურღვევიათ; განიზრახა მხოლოდ თავისის ჯარებით მტერთან ომობა. წყალში გასვლის დროს მოჰხდა დიდი ომი, და აქ, როგორც ამბობს პლუტარხი, ქართველებს 1000 კაცი მოუკვდათ, 9000 ათასი კი ტყვედ დაჰკარგეს. მეფემ საჩქაროდ უკან დაიწია და სთხოვა პომპეის შერიგება, მაგრამ იმან შემოუთვალა, რომ თუ შენს შვილს მძევლად მომცემ შეგირიგდებიო. მეფე ჯერ ყოყმანებდა, მერმე კი თანახმა გახდა. იმან გაუგზავნა თავისი შვილი და საჩუქრები: ოქროს ტახტი, ოქროს სტოლი და ოქროს სელი (სკამი). თეიმურაზ ბატონიშვილი ამბობს, რომ აქ პომპეის თავ-სდაესხნენ კიდევ სამასი ქართველნიო.

ამის შემდეგ პომპეი გადვიდა იმერეთში, დაიჭირა იქაური [illegible]მმართებელი ოლტაკი, წაიყვანა მძევლად და იმის მაგიერად დააყენა თავისი მეგობარი არისტარხი და დაუმორჩილა იმერეთი რომს.

ბარათაშვილი ამბობს, რომ „ამ ომებს ის შედეგი ჰქონდაო, რომ პომპეი და რომის ხალხი დაარწმუნა, რომ ქართველი ხალხი ძლიერ მამაცია. ამის შემდეგ, როცა ისინი ომს დაიწყებდნენ სომხებთან ანუ სპარსელებთან, საქართველოს მხრით თავს-დასხმისა უფრო ეშინოდათ, ამისათვის რომ იმის მეფეებს სპარსეთისა და სომხეთის მეფეებთან ნათესაობა ჰქონდათ. ეს თავს-დასხმა შეიძლებოდა მომხდარი ყოფილიყო მარცხნივ მხრიდამა და უკუნიდგან, როცა რომაელები შორს წამოვიდოდნენ აღმოსავლეთში. ეს შიში აწუხებდა რომაელებს მაშინაც, როცა ისინი ეფრატისა და ტიგრის მდინარეებზე ჯარებს ინახავდნენ. ამისათვის პომპეის დროიდგან ისინი მუდამ იმასა სცდილობდნენ, რომ საქართველოს მეფეები იმათი მეგობრები ყოფილიყვნენ. იმათ იცოდნენ, რომ ქართველები, თვითონაც მამაცნი არიან და აგრეთვე უჭერიათ კავკასიის მთების გზებიც, რომლებსაც, როცა ჰსურთ, მაშინა ხსნიან ისინი, რომ ზემო აზიას დაეცნენ მთიულნი ხალხების გუნდები, რომელნიც ძალიან საშიშარნი იყვნენ აგრეთვე იქ მგონი რომაელების ჯარებისათვისაც. ეს იყო მიზეზი, რომ რომაელებმა ვერასოდეს ვერ გაავრცელეს თავისი უფლება ტიგრის მდინარის გარეთ. საქართველოს ამგვარი მდებარეობა იყო იმის მიზეზი, რომ მასთან მეზობლად მდებარე სახელმწიფოები, ეფრატისა და ტიგრის მდინარეებით გაყოფილები, მუდამ იმას მეცადინეობდნენ, რომ ის თავის ხელში სჭეროდათ, რადგან ომიანობის დროს ძალიან გამოსადეგი იყო სტრატეგიის მხრით; ასრე იქცეოდნენ ერთის მხრით პომპეის შემდეგ რომაელები, ამათ მერმე საბერძნეთის იმპერატორები, და თურქები შემდეგ ბერძნებისა; მეორეს მხრით აგრეთვე იქცეოდნენ სპარსელები ძველის ძველადგანვე იმ დროს, როცა იმათ ეცილებოდნენ რომაელები, საბერძნეთის იმპერატორები და თურქები.“

ინგილო ჯანაშვილი

# საბაასო

## პასუხი უფ. ტატიევს *)

—

„ფიცი მრწამს, ბოლო მაკვირვებს!“

საბაასო კითხვა: უფ. ტატიევმა ასწავლა კახის შკოლის მოსწავლეებს წერა-კითხვა თუ არა?

აი ჩემი ჰაზრი ამაზე:

„ადრინდელი მასწავლებლის უვარგისობისა გამო, აქამდე არც ერთი ყმაწვილი არ არის კახის შკოლიდგან გამოსული, რომ

*) ეს პასუხი უკანასკნელი სიტყვაა ამ საგანზე. რედ.

შეეძლოს წერა ან რუსული და ან ქართული (55 №).

ამაზე იპპოლიტ ტატიევი მიპასუხებს:

„არც ჩემ ქ.ხში ყოფნის დროს და, ვგონებ, არც შემდეგ, ქ.ხის შკოლის მოსწავლეებს სწავლა არ შეუსრულებიათ, — ჯერ არ არის სწორედ დანიშნული დაბოლოებითი ვადა, რომლის განმავლობაშიაც სასოფლო სასწავლებლის მოსწავლემ სწავლა უნდა შეასრულოს". („დროება", № 108).

მე ვამბობ: „ქ.ხის შკოლა არსებობს 1869-დგან. მაშ სჩანს ის ახლა მეექვსე წლისაა და აღარ არის ყმაწვილი. აქედგან ოთხი წელიწადი თქვენ გისწავლებიათ, სამი წელიწადიც ორს სხვა მასწავლებელს, და აქამდე კი არც ერთს ინგილოს შვილს ამ შკოლაში სწავლა არ შეუსრულებია. ხე ნაყოფით იცნობება. აბა ახლა იფიქრეთ, გისწავლებიათ რამე თუ არა? (№ 112).

იპ. ტატიევი მიპასუხებს: „გესმით თუ არა! ინგილოებმა ქართული ლაპარაკიც არ იციან, (მაშ რომელ ენაზე ლაპარაკობენ), მაგრამ ვისი ბრალია? მოვა დრო, ისწავლიან. ახლა კი ინგილოები უტვინოები, ბრიყვები და ბედხეირები არიან. იმათმა შვილებმა არ იციან მასწავლებელი ასწავლის მათ რასმე თუ არა." (№ 123).

მე ვამბობ: „სწავლის ცუდად წაყვანის მიზეზი ის იყო, რომ, როგორც ამბობენ, ადრინდელი მასწავლებლები უფრო ხშირად ქეიფებში, საჩივარში და ქიშპობაში ატარებდნენ თავიანთ სიცოცხლეს. იმათ შკოლის საქმე ფეხებზე ეკიდათ, იმათი საქმე ბეგებთან ქეიფი იყო და ქეიფისათვის ხალხში მათხოვარობა. (№ 113).

უფ. ტატიევი მიპასუხებს: „მართალია, ოთხის წლის განმავლობაში, ორჯერ თუ სამჯერ წასულა ჩემი საჩივარი იქაურს ოლქის მთავრობასთან ქახის ნაიბსა და მამასახლისზე.... რაც შეეხება ბეგებთან ქეიფებსა, მართალია, დავდიოდი იმათთან სანადიროდ და სხვა ამგვარ დროს გატარებისათვის."

თუმცა № 108 ში ეს ასრე სთქვა, მაგრამ № 123 ში სცდილობს ეს უარი ჰყოს; ის ამბობს: „ნუ გიხარიანთ, რომ იმ მიწერ-მოწერაში ჩემი ნაწერი ნახოთ, თორემ მაშინათვე გამოაცხადებთ, რომ მე საჩივრებში ვატარებდი დროს. (მაშ ამას ზეითი სიტყვები რას ამბობენ?)

ჩემი სიტყვები: „თქვენ ცილსა სწამებთ ინგილოებს, რომ იმათ არა ჰსურთ ქართული ისწავლონ." (№ 112).

იპ. ტატიევი მიპასუხებს: „მე ძალას არავინ მატანდა, რომ ინგილოებისთვის ქართული მესწავლებინა; მე თვითონ ვხედავდი, რომ მთავრობა დროებით არა საჭიროებდა ინგილოებისთვის ქართულ სწავლასა." (№ 122) — რათა? იმისათვის რომ — უფ. ტატიევმა გამოაცხადა, რომ მე პირ-და პ-რ რუსულის ანბანიდგან დავიწყებ სწავლებასა, რადგან ამას მოითხოვს იმისი ახალი მეთოდი და პედაგოგია. განა ასრე არ არის? აბა დაფიქრდი?

მე ვამბობ: „ქ.ხის შკოლის მოსწავლეებს ტატიევმა ვერ ასწავლა ვერც რუსული წერა-კითხვა, ვერც ქართული." (№ 113)

უფ. იპ ტატიევი მიპასუხებს: „არც ამაში ხართ მართალი, უფ. ჯანაშვილო, რომ იმათ წერა-კითხვა არ იციან: ახალი მეთოდით წერა კითხვას ყმაწვილები ორ თვეზედ და კიდევ უფრო ადრე სწავლობენ. მე მაქვს რამდენიმე წერილები ჩემი მოსწავლეებისა, ქახიდგან მოწერილნი ერთის თვის შემდეგ ჩემი იქიდგან წამოსვლისა და ეხლაც მომდიან იმათგან წერილები. თუ თქვენთვის სასიამოვნო იქნება, მე შემიძლიან ეს წერილები თქვენ გამოგიგზავნოთ; ამ წერილებიდგან შეგიძლიანთ ჰსცნათ, როგორც იციან და იცოდნენ ჩემმა შეგირდებმა ქართული და რუსული წერა კითხვა. (№ 108)

ჩემი სიტყვები: „აბა თუ მე ამაში ვსტყუვი, გამოგიგზავნე ამისთანა მოსწავლეების წერილები." (იხ. № 113).

იპ. ტატიევი მიპასუხებს: „თქვენ მთხოვთ გამოგიგზავნოთ იმისთანა ყმაწვილების წერილები. ჩემდა საუბედუროდ (თქვენს გასახარებლად) ჯერ არ მომსვლია იმისთანა მასწავლეებისაგან მე წერილებ; ვგონებ ეხლაც შეიძლება იმათგან წერილის მიღება, მაგრამ უფრო უმჯობესი იქნება, რომ თქვენ თვითონვე სთხოვოთ მათ თქვენთანავე წერილის მოწერა." (№ 123).

აბა ახლა იფიქრეთ, მკითხველო: მე ვტყუი თუ ტატიევი?

თუმცა ასრე თავგატეხილ ხიდსავით ჩაიმხვრა დიდ ძოლაპარაკე ტატიევი, მაგრამ მაინც მეუბნება: „ინგილო ჯანაშვილო! თქვენს სიტყვებში არა ვითარიმე ჭეშმარიტება არ არის, ეს არის, მხოლოდ ცილის წამება და ცრუმეტყველება, რომელიც თქვენ არ შეგფერით." ჩემს ლაპარაკში, თუ თქვენსაში? ბატონო ტატიშვილო, დაფიქრდით და ლაპარაკში სვინიდისს ადგილი მიეცით! მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ არ უნდა გქონდეს გაუწმენდელი სვინიდისი, არ უნდა ჰქონდეს ზნეობა წამხდარი: ამისათვის რომ მოტყუილება, ლალატობა, ჩხუბი, ლანძღვა და კვეხნა ცხოვრებაში თავის გულითად მიზნად მიგაჩნია. მითხარი რომ წერილები ბევრი მაქვსო, თუ გნებავთ, გამოგიგზავნიო; ახლა რომ გთხოვე გამომიგზავნე, მეუბნები, რომ არა მაქვსო. აბა ძმაო, მაგრე იქნება. კეთილშობილი კაცი რომ ხარ, განა იმისათვის ნება გაქვს, რომ იტყუილო? ხომ იცი, რომ პირობა კაცს ცოლს წაართმევო, ამბობს გონიერი ქართული ანდაზა. რატომ არ ასრულე შენი დაპირება და არ გამომტყუნე საზოგადო აზრში და არ გაიცხვე ის ლაფი, რომელშიაც ახლა ხარ ამოსვრილი? ამ გვარს შენს ქცევას განა აქვს რამე საფუძველი ზნეობით ტიბიკონში? მაგრამ შენი ამ გვარი ქცევა ძმა არ მიკვირს, ამისათვის ა): კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების და ბ: „გული კრული კაცისა, ხარბი და გაუძღომელი", „გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი", თავის პატრონის თვალში ვერა ჰხედავს უდიდეს მდებარე ძელსა. როგორც გეტყობათ, ჩემო კოკობო ვარდო, ჩემს კრიტიკას თქვენთვის ისეთი თავზარი გადუცხამს თავზე, ისეთი ნიშადური ამოუცხვია, ისეთი კილო შემოჰძრომია თქვენს სარქველს, რომ გაწარმებულს სირბილში თქვენს ჭკუა გონებას მოსაზრებაც დაჰკარგვია: ამისათვის „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია", თვითონაც ვეღარ გაუგია. ჩემს კადნიერს გაბედვილობას, როგორც ეტყობა, შენი თავმოყვარეობა იმ ეთ რიგზე შეუხვამს და გაუჭირვებია წერაში, რომ სრულიად დაუბნევია თქვენი ძლიერი ლოლიკა. „ვილამ მოგახსენათ, რომ კავკაზი მართალს ბრძანებსო?" მკითხავთ. განა ახლა უარსა ჰყოფთ!? თუ „კავკაზი" სტყუის, მაშ თქვენ რაღასლა მიუთითებდით იმაზე, რომ ის თქვენ ქებას ამბობდა? წინანდელს სტატიაში თქვენს სიმართლის დასამტკიცებლად სხვათა შორის „კავკაზი" მოწმად მოგყავდით. ახლა კი უარსა ჰყოფთ იმის მოწმობას და ამბობთ, რომ არც თქვენ მოგიხსენებიათ, თუ „კავკაზი" სიმართლეს ლაპარაკობსო. ამ გვარად დაბნეული ლაპარაკი განა შეიძლება? განა თქვენს ლოლიკასა და პედაგოგიურ ნიჭს ამტკიცებს?...

ინგილო ჯანაშვილი

(დასასრული შემდეგში)

# სავაჭრო

△ კავკასიის სამხედრო მაზრის რჩევის გადაწყვეტილებით, მომავალ ნოემბრის თვის 19-ს იქნება უკანასკნელი ვაჭრობა (დაბეჭდილი განცხადებებით) თფილისის, სტავროპოლის და პეტროვსკის საინტენდანტო მაღაზიებიდამ და აგრეთვე ვლადიკავკასიდამ თფილისში და პეტროვსკში და ასტრახანიდამ სტავროპოლში და საზოგადოთ ერთი ალაგიდამ მეორეში გადატანაზე ინტენდანტის ნივთებისა და წამლებისა — 1876 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1878 წლის 1 იანვრამდე.

გირაოთ, ფასის [illegible] უნდა იქნეს 20% [illegible] ნივთების ფასისა, შემდეგის ანგარიშით: თფილისისათვის — 4,912 მანეთის გირაო, სტავროპოლისათვის — 7,480 მანეთისა, პეტროვსკისათვის — 4,684 მ.ნ. და ასტრახნიდამ სტავროპოლში გადასატანი ნივთებისათვის — 150 მანეთი.



# განცხადებანი

## თვალის ექიმი თამამშევი

ამ დღეებში დაბრუნდა საზღვარ გარეთიდამ და მიიღებს ავათმყოფებს თავის სადგომში; გოლოვინის პროსპექტზე, ბელოვის სახლებში, ბერენშტამის წიგნის მაღაზიის ზემოთ.

(2—1)

## თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ერევნის მოედანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ნაშუადღევის 1 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი ტელიაფუსი — ქალისა და ყმაწვილების ავათმყოფობისათვის, გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

ოთხშაბათს: ლისიცევი — შინაგანი ავათმყოფ., მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: გრაბოვსკი — ხირურგიული ავათმყოფ., ტელიაფუსი — ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფ. და ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და მარკაროვი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შაბათს: ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფ. და მაკოვსკი — ვენერიული ავათმყოფობისათვის.

თფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე სოლოკოვისა და სულთანშაიჩის მაღაზიებში და მეგაზეთეებთან **ისყიდება გეომეტრიული სხეულები** საუკეთესო კარდონის ქაღალდიდგან გაკეთებული რეზინით. გეომეტრიის და ხაზვის სწავლის დროს აუცილებლად საჭიროა. გამოცემა ა. ბუნეცკისა. **ფასი** სამი აბაზი გაუგზავნელად. ვინც 10 ეგზემპლიარ ანუ მომეტებულს გამოიწერს, იმათ გაგზავნისათვის არაფერი გადახდებათ.



| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | . | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

## ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ — ხუთშაბ. შუადღეზე სტამბოლს — კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:
ფოთს — ოთხშაბათს, დილით.
ოდესას — ოთხშაბათს, შუადღეზე.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

## ფოშტა

ა) თფილისიდამ:
საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

## ბირჟა

| პეტერბურგი, 6 გიორგობ. | მან. | კაპ |
|---|---|---|
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში $341\frac{1}{2}$ სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 99 | 75 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 206 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 195 | — |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 87 | 85 |
| მოსკოვის (5%). . . | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | - |
| ფოთი-თფილ რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

## მაზანდა

| თფილისი, 8 გიორგობ. | მან | კაპ |
|---|---|---|
| პური მორაგალის ფთ. | 1 | 5 |
| ქერი ფუთი. | — | 55 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 6 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი. | 5 | 50 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 45 |
| — ცხვრისა, ლიტრა. | — | 54 |
| სპირტი, ვედრო. | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 8 | — |
| — ფხვნილი ფუთი | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი ფუთი | 18 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 6 | — |
| ოქრო ½ იმპერიალი. | 6 | 10 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Ноября 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.